გონგის შემდეგ

მოსკოვი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.).

16 ივლისს მოსკოვის "დინამოს" სტადიონზე გაიმართა მორიგი მატჩი საბჭოთა კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ "ტორპედო" (მოსკოვი) – "დინამო" (თბილისი).

ეს მეტად საინტერესო, დაძაბული თამაში დაიწყო ტორპედოელთა ტერიტორიული უპირატესობით. მაგრამ თბილისელებმა მალე შეძლეს მდგომარეობის გათანაბრება და ინიციატივის ხელში აღება. რამდენიმე მწვავე მომენტის შემდეგ დინამოელმა ხასაიამ გახსნა ანგარიში – 1:0.

ტაიმის დამთავრებამდე წამები იყო დარჩენილი, როცა მოსკოველებმა სტრელცოვმა და ნეფედოვმა სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს და ამ უკანასკნელმა გაიტანა საპასუხო გოლი – 1:1.

გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა თამაში შესვენების შემდეგ.

დაახლოებით 25–ე წუთიდან შეტევაზე კვლავ თბილისელები გადავიდნენ. როგორც ყოველთვის, აქტიური იყო ხასაია, ენერგიულად თამაშობდნენ ნახევარმცველები ღოღობერიძე და კოტრიკაძე. დინამოელთა განუწყვეტელ იერიშებს მოყვა "ტორპედოს" ცენტრალური თავდამსხმელის სტრელცოვის მოულოდნელი გარღვევა, მაგრამ მისი საბოლოო დარტყმა არაზუსტი აღმოჩნდა.

გონგის შემდეგ თბილისელები უკანასკნელ შტურმზე გადავიდნენ. მასპინძელთა ნახევარზე დანიშნულ იქნა საჯარიმო დარტყმა, რომელიც დინამოელებმა კარგად გამოიყენეს და გოლით დაამთავრეს (ბურთი გაიტანა ჭკუასელმა). ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა თბილისის "დინამომ".

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მიმდინარე გათამაშებაში "ტორპედომ" წააგო მხოლოდ სამი მატჩი, აქედან ორი თბილისის "დინამოსთან".

დუბლიორთა შეხვედრა მოიგეს მოსკოველებმა – 2:1.

"ლელო", 18 ივლისი, 1956 წ.